საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 147 / 32 17.09 2021 წ.

MES 8 21 0000930251

16/09/2021

2021-2022 სასწავლო წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოწვეული სპეციალისტებისათვის სასწავლო დატვირთვის ნორმატივების, სასწავლო პროცესის განხორციელების სივრცეების მიხედვით ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროგრამის ხელმძღვანელების განსაზღვრის, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისა და მოდულების განმახორციელებელი სპეციალისტებისათვის ანაზღაურების ნორმების განსაზღვრის შესახებ

I. დამტკიცდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოწვეული სპეციალისტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვის ნორმატივები შემდეგი სახით:

1.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოწვეული სპეციალისტის დატვირთვის მთლიანი მოცულობა (თეორიული, პრაქტიკული მეცადინეობის, შეფასების და პრაქტიკის) განისაზღვროს არა უმეტეს 700 საათის ოდენობით.

1.2. დეპარტამენტების, მიმართულებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებმა, უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა, მასწავლებელმა, ხელშეკრულებით მოწვეულმა სპეციალისტმა, ტექნიკურმა პერსონალმა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო დატვირთვის განაწილების დროს დაიცვან უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის № 65(18/19) დადგენილებით განსაზღვრული ნორმები.

1.3. უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორს, რომლის სასწავლო დატვირთვის მინიმალური ოდენობა (90 სთ) განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 ივლისის № 65(18/19) დაგენილებით, მიეცეს პროფესიულ პროგრამებზე სასწავლო კურსების განხორციელების უფლება 200 საათის მოცულობით.

1.4. განსაკუთრებულ შემთხვევაში მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალისტის მოწვევის მიზანშეწონილობისა და მისი ანაზღაურების

ოდენობის საკითხი შეთანხმდეს რექტორთან პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელის არგუმენტირებული წარდგინების საფუძველზე, კონკრეტული პროგრამის განხორციელების ვადისა და სხვა პირობების გათვალისწინებით.

II. დამტკიცდეს მოდულურ პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის განხორციელების სივრცეების მიხედვით ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა:

2.1. მოდულის სწავლების A გარემოში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს როგორც წესი 10-20 სტუდენტით;

2.2. მოდულის სწავლების B და C გარემოში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს მოდულით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით;

2.3. საწარმოო პრაქტიკაზე ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს ხელშეკრულების და პრაქტიკაზე პროფესიულ სტუდენტთა დაშვების გრძანების შესაბამისად;

III. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2021-2022 სასწავლო წლისათვის განხორციელებადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებად განისაზღვროს:

3.1. სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა - თეიმურაზ კოჩაძე

3.2. საავტომობილო გზების მშენებლობა - ხვიჩა ახვლედიანი

3.3. ელექტროობა - ლალი ზივზივაძე

3.4. მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება -ფრიდონ გოგიაშვილი

3.5. მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება - ალექსანდრე კამლაძე

3.6. მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება - გიორგი ფურცხვანიძე

3.7. ბუღალტრული აღრიცხვა - ნათელა ვაშაკიძე

3.8. საფინანსო სერვისები - თინათინ გუგეშაშვილი

3.9. საოფისე საქმე - მანანა შალამბერიძე

3.10. საბაჟო საქმე - სერგო სვანაძე

3.11. სარეკლამო აგენტი - მაია ახვლედიანი

3.12. ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი - მარეხი ნიკოლაძე

3.13. საბიბლიოთეკო საქმე - თეიმურაზ ბეჟანეიშვილი

3.14. ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი - ვასილ წიქვაძე

3.15. ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი - ნინო დოლიძე

3.16. სისტემების ადმინისტრატორი - თეიმურაზ ფესტვენიძე

3.17. მხატვრული ქსოვილები - თამარ მოსეშვილი

3.18. ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება - მაია გრძელიძე

IV. დამტკიცდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებისა და მოდულის განმახორციელებელი სპეციალისტების ანაზღაურების ნორმა

4.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი საკონტაქტო (მოდულით გათვალისწინებული საკონტაქტო, შეფასება და პრაქტიკის ხელმძღვანელობისათვის გათვალისწინებული საათები) საათის სარგო (ანაზღაურება) განისაზღვროს - 15.0 ლარით;

4.2. კონკრეტული პროგრამის ფინანსური თვითკმარობის გათვალისწინებით არასრული ჯგუფის და/ან სხვა გარემოებათა შემთხვევაში, ამ ბრძანების 4.1 პუნქტით დადგენილი სარგო (ანაზღაურება) განისაზღვროს ფინანსური რესურსის ფარგლებში რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით;

4.3. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობისათვის პროგრამის ხელმძღვანელებს, 2021-2022 სასწავლო წლის მიხედვით პროგრამის განხორციელების პერიოდში მიეცეთ ანაზღაურება თვეში 200 ლარის ოდენობით, პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე;

4.4. საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელობის საათების რაოდენობა და შესაბამისი ანაზღაურება განისაზღვროს მოდულის მიხედვით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რექტორი
როლანდ კოპალიანი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი /
სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
ბასილაძე იმერი

პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრი
ხელმძღვანელი
სვანაძე სერგო